

ა.ა.ი.პ „საქართველოს რაგბის კავშირი“-ს  
სადისციპლინო კომისიის სხდომის ოქმი № 2

ქ.თბილისი

2018 წლის 8 თებერვალი

სადისციპლინო კომისიის სხდომა ჩატარდა 2018 წლის 8 თებერვალს, ა.ა.ი.პ. „საქართველოს რაგბის კავშირი“-ს ოფისში.

სადისციპლინო კომისიის სხდომა მოწვეულ იქნა კომისიის თავმჯდომარის დავალებით, სადისციპლინო კომისიის წევრებისთვის შეტყობინებისა და დღის წესრიგის გაგზავნის გზით.

სხდომას ესწრებოდა კომისიის 8 წევრიდან 8 წევრი. სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის მე-5 მუხლის 5.11. პუნქტის თანახმად, სხდომა გამოცხადდა გადაწყვეტილებაუნარიანად, ამის გამო არცერთ დამსწრე წევრს პრეტენზია არ გამოუთქვამს.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრები: მირიან თავზარაშვილი, ლევან ჩიკვაიძე, აკაკი კერესელიძე, ირაკლი ჩიჭავაძე, ედუარდ ნაჭყებია, ვახტანგ სამხარაძე, ლაშა თავართქილაძე, სულხან სულხანიშვილი.

სხდომას უძღვებოდა კომისიის თავმჯდომარე, მირიან თავზარაშვილი.

სადისციპლინო კომისიამ ზემოაღნიშნული შემადგენლობით, განიხილა სრკ-ს საშეჯიბრო კომიტეტის მეთვალყურეთა ქვეკომიტეტის თავმჯდომარის ზ. ბაკურაძის განცხადება, მატჩის მეთვალყურის გ. მიქაბერიძის ოქმი, მსაჯების ს. აბულაშვილისა და ლ. ლაშხიას მოხსენებითი ბარათი, ამა წლის 2 თებერვალს, „დიდი 10“-ის მატჩზე, თბ „აკადემია“-სა და თბ „ლოკომოტივი“-ს შორის, მომხდარი ფაქტის შესახებ.

**გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :**

1. თბ „აკადემია“-ს მწვრთნელი გ. ქობილაშვილი - მატჩის ოფიციალურ პირთა გადაწყვეტილებებზე საჯაროდ აპელირება.
2. თბ „აკადემია“-ს მწვრთნელი ლ. ოზოლაძე - მატჩის ოფიციალურ პირთა გადაწყვეტილებებზე საჯაროდ აპელირება. რამაც პროვოცირება გაუწია მესამე პირთა მხრიდან, მატჩის ოფიციალურ პირთა სიტყვიერ შეურაცხყოფას.

სრკ სადისციპლინო კომისიამ იხელმძღვანელა სრკ სადისციპლინო კოდექსის 2.1.2 და 2.1.3, პუნქტებით და ერთხმად მიიღო შემდეგი

**გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა**

1. თბ „აკადემია“-ს მწვრთნელი გ. ქობილაშვილი დისკვალიფიცირებული იქნას 2(ორი) სათამაშო კვირით, ხოლო კლუბი დაჯარიმდეს 300 (სამასი) ლარით.
2. თბ „აკადემია“-ს მწვრთნელი ლ. ოზოლაძე დისკვალიფიცირებული იქნას 2(ორი) სათამაშო კვირით, ხოლო კლუბი დაჯარიმდეს 500(ხუთასი) ლარით.
3. დისკვალიფიცირებული მწვრთნელის მიერ სრკ სადისციპლინო კოდექსის 2.1.19 პუნქტის დარღვევის შემთხვევაში კლუბს დაეკისრება ამავე პუნქტით გათვალისწინებული სანქცია.
4. საჯარიმო თანხის გადახდის ვადა განისაზღვროს 2018 წლის 10 მარტამდე.
5. საჯარიმო თანხის მითითებულ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, კლუბ თბ „აკადემია“-ს მიმართ ამოქმედდება სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის 3.3 პუნქტი.

სრკ სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარე



/მ.თავზარაშვილი/